№ 247 2 დეკემბერი, შაბათი 1866—1873 2 დეკემბერი, შაბათი № 247

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ი. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ი. ᲐᲛᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Въ редакцію газ. „Дрозба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ. ᲓᲐ 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ებრაულ ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ ასოებით ახოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცილროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲑᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ თფ. ᲠᲚᲥᲘᲡ სასამართლოში ჩაგვაბარეს ჩვენ გამამტყუნებელი აქტი, რომლითაც გვბრალდება ის დანაშაული, რომ ამ წლის „დროების“ მე-126 ნომერში დაბეჭდეთ სტატია „ᲔᲠᲗᲘᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲤᲑᲔᲒᲗᲐᲗᲘᲡ“, რომელშიაც რამდენიმე სტრიქონი წაშლილი იყო ცენზორისაგან, მაგრამ ჩვენკი სრულად გაუშვით გაზეთში. „ᲓᲐᲡᲯᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ“ მე-1029 მუხლის ძალით, ამ გვარის დანაშაულისთვის ბრალდებულს გადახდება ჯარიმა: პირველად ორა მომეტებული ხუთის თუმნისა, მეორედ—ათ თუმნაძდინ და მესამედ და შემდეგ არამომეტებული ოცის თუმნისა.

ᲩᲕᲔᲜᲡ გარდა ამგვარივე დანაშაულისთვის სამართალში არიან აგრეთვე მიცემული „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲘᲡᲐ“ და „ᲠᲑᲖᲝᲠᲘᲡ“ რედაქტორებიც.

*** ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ სენატორი სტარიცკი პეტერბურღში წასულა იმ განზრახვით, რომ უმაღლესს მთავრობას დაამტკიცებინოს აქ ახალი მიჯენის წესდება ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ მხრისთვის.

*** ᲩᲕᲔᲜ მივიღედ ამ დღეებში ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ გამოცემული ლექსები მიცვალებული „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ რედაქტორის უფ. ᲘᲕᲘᲜᲔ ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ეს ლექსები ადრე „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ“ ნომრებში იყო დაბეჭდილი და ეხლა ცალკე გამოიცა. მთელ ამ წიგნში მხოლოთ რამდენიმე ლექსია ისეთი, რომელიც ღირსია ლექსის სახელისა და რომელშიაც მცირედენი პოეზია მოიპოება. დანარჩენი ლექსები კი თითქმის სულ ცარიელი სიტყვების გროვაა ხშირად ურითმოდ და უაზროთ. ᲐᲛ მოკლე ხანში დაწვრილებით გავარჩევთ აᲗ წიგნს.

ᲑᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ისეთია, როგორც საზოგადოთ ყველა ქართული გამოცემაები უფ. ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲮᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ: არც ძალიან კარგი და არც ძალიან ურიგო.

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ იქაურ ქართული სცენის მოყვარეთ გასული ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ 25-ᲡᲐ იქაურს ესრედ-წოდებულს სამეფო სახლში წარმოუდგენიათ „ᲛᲐᲘᲙᲝ“ კომედია თ. Გ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ და მოლიერის კომედია „ᲪᲝᲚᲚᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲔᲕᲘᲜᲔᲑᲐ.“ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ მოთამაშეებს სინიდისიანად აუსრულებიათ თავის როლები.

ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡ შემოსავალი ერთი ღარიბი ქართველი სტუდენტის სასარგებლოდ ყოფილა დანიშნული.

*** ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ მას აქეთ, რაც დაიწვა თ. Ი. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ სახლი, რომელშიაც საქალებო შკოლა იყო გამართული, ამ შკოლის განახლებაზედ კაცი ალარ ჰფიქრობსო. ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ამბობს, რომ ჩვენს ქალაქში არავითარი საშუალება არ არის ქალების სწავლისაო და ამის გამო კარგი იქნებაო, რომ ამ საგანზე ვინმე რაიმე იფიქროსო.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲛᲐᲭᲐᲮᲔᲚᲐᲡ-ᲞᲘᲠᲘ, 25 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ. მე გიახლებოდით ამავე რიცხვში ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲛ სოფელ მაჭახელის პირს ერთი ამავე სოფლის გლეხის ცხენით; გზაში შემოხვედენ ამ ჩემს ჩარვადარს თავის მოზობლები ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚ სოფელში; ერთმანერთს სალამი მისცეს და შემდგომ დაიწყეს ტკბილათ საუბარი:

—ᲰᲐᲓ მიხვალთ, ᲫᲘᲐᲕ? უთხრა ჩემმა ჩარვადარმა.

—მაჭახელას-პირს, ᲫᲘᲐᲕ.

—ᲫᲕᲔ ᲒᲘᲓᲐᲚᲣᲛ ᲑᲔᲠᲐᲑᲔᲠ (წავიდეთ ერთათ.)

—მოვდიეართ ᲭᲝ! ᲔᲒ ᲕᲘᲜ მიგყავს, ᲫᲘᲐᲕ? ჩემზედ უშვერენ თითებსა.

—ᲐᲒᲘ, ᲫᲘᲐᲕ! ᲗᲐᲠᲯᲣᲛᲐᲜᲘᲐ (მოენეა). მაჭახლის-პირის მუდირისა (უჩასტკი ნაჩალნიკისა). მიმყავს მაჭახელას.

—ᲕᲐᲘ ᲑᲘᲖᲣᲛ ᲰᲐᲚᲣᲛᲣᲖᲐ (ეაი ჩვენს ბედს) ჩვენ სულ წეეხდით, ᲫᲘᲐᲕ! ᲫᲕᲔ ეხლავ გემართებს ჩვენი თავი მუჰაჯარით *) გეევიგონეთ, ᲫᲘᲐᲕ, რომ მთელ ᲥᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘᲡ ეჰალი მუჰაჯირათ დაწერილან, აწი ჩვენც არ გვედგომილება აქანა.

მე ამ საუბრის გამო გაუბედე ამ ხალხს როდენიმე სიტყვის თქმა. ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ იყვნენ იარაღით შეეჭედილი და თან აქეთ-იქით ვიხედებოთი, რომ თოფი არავის ერტყმია:

—ᲜᲣ გეფიქრებათ, ჩვენი ყირალი იმისთანა გულ-მოწყალეა, რომ კარგათ შეგინახავთ. ᲐᲠ გეგონოთ, რომ ჩვენმა ომთავრობამ რაიმე შეწუხება მოგაყენოთ ანუ შეგირყიოთ თქვენი შარიათი-რჯული და სხვა ადათი (წესი). ᲗᲥᲕᲔᲜ კიდენ იმ რჯულს და შარიათს ემსახურეთ, რომლებსაც აქამომდე ემსახურებოდით, და იყავით თქვენთვინ მშვიდობიანათ;

მაგრამ ისინი კი თავისას იძახოდნენ..

ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ მესმოდა ᲐᲭᲐᲠᲐᲖᲔᲓ და მაჭახელზედ, რომ ღარიბი ხალხი ასხიაო. მართლაც ზედმიწევნით დაერწმუნდი, რომ სამინელი ღარიბი და ამაყი ხალხი სცხოვრობს მთელ ᲖᲔᲛᲝ თუ ᲥᲕᲔᲛᲝ-ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ და ეგრეთვე მაჭახელში.

ᲐᲭᲐᲣᲠᲘ ბეგები და აღები მოუთმენლად როგორც ეტყობათ ლაპარაკში, რალასაც მოელიან ჩვენი მთავრობისაგან.

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ანუ მაჭახელში რომ მოხვიდეთ, ვერ ნახავთ სახნავ ადგილს, თუმცა ნახოთ ძალიან იშვიათათ; ხალხი დასახლებულია მთებში, მინდორს თქვენ ᲫᲕᲘᲠᲐᲗ შეხვდებით, მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა დარჩენილნი არიან უსახნავ-სათესოთ; რაოდენთა თუმცა აქვთ ყანები, ისიც გვერდებში და მთებში, სადაც ᲔᲛᲛᲐᲙᲘ გაუჭირდება ასვლა და შემუშავება.

ᲐᲛᲘᲡ გამო ᲑᲔᲕᲠᲘ უსაქმო მშიერი დაეტარებიან იარაღით მოწკეპილი. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ისა, რომ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ ავაზაკობა და კაცის-კვლა ზდება სილარიბით.

ᲐᲛ ახლო ᲮᲐᲜᲨᲘ ერთი შემთხვევა მოხდა მაჭახელის უჩასტკაში, სოფელ ᲭᲐᲜᲘᲕᲠᲨᲘ: ᲕᲐᲨᲚᲘᲡ გაყოფანზედ მოუვიდათ ჩხუბი და ძმამ ძმა მოკლა.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ ᲐᲕᲒᲐᲜᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲔᲛᲘᲠᲘ თავის ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲡ ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲰᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡᲝ, რადგანაც ᲥᲐᲑᲣᲚᲨᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ მოახლოების შიში აქვსო.

— ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ მინისტრმა ნორტკოტმა წარმოსთქვა 24 ნოემბერს სიტყვა ახლანდელს პოლიტიკურს მდგომარეობაზედ, რომელშიაც შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

**) ᲥᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘ მდებიერობს ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲮᲘᲐᲮᲚᲝᲕᲔᲡ, დიდ ტრიალ მინდორს შეადგენს, რომელზედაც დასახლებული არიან ᲭᲣᲠᲗᲔᲑᲘ და ᲔᲡᲔᲜᲘ ᲑᲔᲕᲠᲡ სიმინდს ყიდიან.

---

*) მუჰაჯირი ნიშნამს მას, რომ ჩაეწერონ იმ სიაში, რომელთაც სურსთ გარდასახლება ᲠᲣᲡᲗᲐᲜᲨᲘ.

„მმართებლობას იმედი აქვს, რომ ოსმალეთი მალე შემოიღებს მცირე აზიაში იმ რეფორმებს, რომლის პროექტიც წარუდგინა იმას ინგლისმა.

„რაიცა შეეხება ავგანისტანს, ჩვენ მხოლოთ ამის თქმა შეგვიძლიან ახლა, რომ ინგლისს სრულიად არ აქვს განზრახვა, რომ ავგანისტანს მიწები წაართვას. ინგლისის მიზანი მხოლოთ ის არის, რომ გარეშე მტრისაგან (რუსეთისაგან) დაიცვას თავის ინდოეთის სამზღვრები. ინდოეთიდამ მოსული უკანასკნელი ამბები იმედს გვაძლევს, რომ ავგანისტანთან ბრძოლის გათავებასა და ამ მიზნის შესრულებასაც მალე მოვეწრობით.“

ოსმალეთი

ამბობენ, ვითომც სტამბოლის ყველა უცხო სახელმწიფოების ელჩებს ბრძანება მოსვლოდეთ თავიანთ მმართებლობათაგან, რომ შეიკრიბნენ ერთად და მოილაპარაკონ—თუ რა საშუალებით შეიძლება ყველა იმ განხეთქილებათა მოსპობა, რომელიც წარმოსდგა სხვადა-სხვა სახელმწიფოებს შუა ბერლინის ტრაქტატის აუსრულებლობის გამო.

— ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი დეპეშა იმის თაობაზედ, რომ ოსმალეთში შესდგა ახალი სამინისტრო. ამ სამინისტროს თავსმჯდომარედ ხონთქარმა დანიშნა ხაირედინფაშა, რომელსაც მოსწერა ამასთანავე, „ჩემი სურვილი არისო, რომ ოსმალეთი განთავისუფლდეს იმ ცუდი მდგომარეობისაგან, რომელიც უკანასკნელმა ომმა მიაყენა მასაო; ამისთვის მე საჭიროდ დავინახე ახალი წესების, რეფორმების შემოღება ჩვენს ქვეყანაში და ამ რეფორმების სისრულეში მოყვანა თქვენთვის მომინდვიაო.“

— სომხის პატრიარქს ნერსესს მოუვიდა ამბავი ზეითუნიდამ, რომ ოსმალოს ჯარებისაგან დიდს შეწუხებაში არის სომხის ხალხი და რამე დახმარება ეჭირებაო. პატრიარქმა სთხოვა სტამბოლში მყოფ უცხო სახელმწიფოების ელჩებს, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში.

გერმანია

ბერლინიდამ იწერებიან 23 ნოემბერს:

„დღეს დაბრუნდა აქ ბერმანიის იმპერატორი ვილჰელმი. რკინის ჯვრის სტანციაზე მიეგებნენ იმპერატორს მინისტრები და ორივე პალატის პრეზიდენტები. იმპერატორმა უთხრა ამათ, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები:

„სამწუხარო შემთხვევამ აგვიხილა ჩვენ თვალები და ნათლად დაგვანახა ჩვენი საზოგადო ცხოვრების სენი და ნაკლულევანება.

„ამ შემთხვევით, რომელიც თვითონ მე გამოვსცადე, იმედი მაქვს, ისარგებლებთ და მიიღებთ ყველა კანონიერ და სასტიკ საშუალებას, რომ ეს სენი და ნაკლულევანება ძირიანად ამოიფხვრას ჩვენს ქვეყანაში.“

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

თფილისის სამოსამართლო პალატაში

სხდომა 28 ნოემბერს.

სპასოვიჩის სიტყვა (დასასრული). ბადავდივარ ამ საქმის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, პსიხოლოგიურ მხარეებზედ. აქ ჩვენ დაგვეხვდება პირველი საბუთი უფ. პროკურორისა, რომ ნ. ანდრეევსკისას არ შეეძლოო ამ დროს ბანაობაო, რადგან ამ დროს იმას რიგი ჰქონდაო. ამის თაობაზე ჩვენ გვაქვს ჩვენება უფ. მომრიგებელ მოსამართლის წინამძღვაროვისა და მრეცხელი ქალის—ზუევისა. მაგრამ საქმის გარემოებიდამ სჩანს, რომ ნ. ანდრეევსკისას რიგი მაშინ როდი ჰქონია, არამედ რამდენიმე დღის წინათ. ორი დღით წინ ამ უბედურ შემთხვევამდინ ის იყო აბანოში. მოგეხსენებათ, რომ რიგის შემდგ ბანაობა ქალისათვის აუცილებელ საჭიროებას, მოთხოვნილებას შეადგენს.

აბბობენ, ნ. ანდრეევსკისა ზიზღით ამბობდაო ხშირათ—თუ როგორ ჰბანაობს ხალხი მტკვარშიო, ამისთანა მღვრიე წყალში ბანაობა როგორ შეიძლებაო და სხვ. რას ამტკიცებს ეს? რატომ ჰკითხულობდა, რატომ ლაპარაკობდა ასე ხშირად მტკვარში ბანაობაზე? რასაკვირველია, იმიტომ რომ მტკვარში ბანაობა იმისთვის საინტერესო საგანს შეადგენდა, უნდოდა ბანაობა, და რომ მთელს ქვეყანაში არ ჰყვიროდა, რომ უნდა ვიბანოვო, ეს ადვილი გასაგებია: ზრდილობიანი ქალი თავის დღეში არ იტყვის: უნდა ვიბანოვო.

უნდა იცოდეთ ნ. ანდრეევსკის ქალის ხასიათი, რომ ეს თქვენთვის გასაკვირელად არ დარჩეს. ნ. ანდრეევსკის ქალის დედა ქართველი ქალი იყო. მაგრამ თვითონ ნინო კი წმინდა წარმომადგენელი და ტიპი იყო რუსის, კარგი რუსის ქალისა. მხიარული, უბრალო და იმავე დროს არისტოკრატიული მიდრეკილებით, თავის-ნათქვამი, დამოუკიდებელი ხასიათისა, ახირებული, ჯიუტი და ჩჩვილი გულისა; ყმაწვილივით დაუდეგარი, ცეტი და იმავე დროს ჭკვიანი, გონება-გახსნილი.

ამისთანა ქალისაგან ამ გვარი მოქმედება რა გასაკვირველია? ჭკუაზედ ახლოს არის, რომ ის უსაცვალოდ (რომ დედამ არ შემიტყოსო) წავიდა მტკვარზე საბანებელად, იმ განზრახვით, რომ დავიბან, ტიტველ ტანზე კაბას და კოჭტას გადაეცვამ, მერე დავბრუნდები შინ და სუფთა საცვალს ჩაეცვამ.

მორცხვი იყოვო, ამ დროს მტკვრის მეორე ნაპირზე ხალხი ბანაობსო, არ წავიდოდა საბანებლათაო. მე ვიყავი იქ, დავათვალიერე ის ადგილები და იმ ადგილამდინ, საცა მტკვრის მეორე ნაპირზე ხალხი ბანაობს, იქნება უკანასკნელი ნახევარი ვერსი. ამ სიშორიდამ, თუმცა მთვარიანი ღამეც ჰყოფილიყო, რას შეხედავდა იმას ხალხი? ვისი მოერიდებოდა?

ბავარჩიოთ ახლა—თუ რა გასამტყუენებელი ფაქტები წარმოადგინა [illegible] ბრალდებულის წინააღმდეგ უ. პროკურორმა.

ბამამტყუენებელი აქტის სიტყვით, მოთავე, განკარგულებისა და თადარიგის მიმცემი ამ საქმეში იყო დავით ჩქოტუა. დანარჩენები მხოლოთ იმის ბრძანებას ასრულებდნენ, ეხმარებოდნენ იმას. რა საბუთებია დავით ჩქოტუას წინააღმდეგ? პირველი და უმთავრესი საბუთი არის, რომ ერთი, რომელიც უფრო ავი ძაღლი იყო, მოაკვლევინაო და დანარჩენი კი დააკეტვინაო. ძაღლის მოკვლის თაობაზე არის ჩვენება პირუტყვის აქიმისა, რომელმანც სთქვა, რომ ერთის კვირეწინათ ანდრეევსკის ქალის სიკვდილამდინ დ. ჩქოტუამ უთხრა იმას, ბრაზიანმა ძაღლმა დაკბინა ერთი ჩემი ძაღლიო და მოსაწამლავი წამალი მომეციო. ამას გარდა დ. ჩქოტუას პატარა დავთარში ჩაწერილია სხვათა შორის, რომ 3 მან. ძაღლების ექიმს მივეციო. რას ამტკიცებს ეს? იმას, რომ მოკლეული ძაღლი მართლა ბრაზიანისაგან დაკბენილი ყოფილა და დ. ჩქოტუას დიდი ხანია ნდომებია იმის მოკვლა. აქედამ ადვილად აიხსნება ის გარემოებაც, რომ ამის შემდეგ აღარც დანარჩენი ძაღლებიც ჩნდნენ: დ. ჩქოტუას არ უბრძანებია იმათი დამწყვეტვა;—ამას ამბობს მხოლოთ მგელაძე, რომლის ჩვენება რამდენათაც დასაჯერებელია, ეს თქვენც იცით. დანარჩენ ძაღლებმა დაინახეს, რომ იმათი წინამძღვარი, იმათი უმფროსი ძაღლი მოჰკლეს და ადვილად შეიძლება შეშინდნენ, დაფთხნენ თვითონაც, აქეთ-იქით დაიმალნენ სადმე ბაღში და აღარავის ჰყეფდნენ. ძაღლებსაც აქვთ ჭკუა!...

მაგრამ ვსთქვათ ძაღლები დაამწყვეტინა დ. ჩქოტუამ. რას ამტკიცებს ეს იმის წინააღმდეგ? ბანა არ შეიძლება ვიფიქროთ, იმიტომ დაამწყვეტინა ძაღლები, რომ იმ ავმა ძაღლმა, რომელიც ბრაზიანისაგან იყო დაკბენილი, ესენიც არ დაკბინოსო!?

ბამამტყუენებელი აქტი ამბობს, რომ დ. ჩქოტუას ჰსურს დაამტკიცოს თავის „ალიბი“, ე. ი. რომ იმ დროს, როცა ნ. ანდრეევსკის ქალის ვითომ-მკვლელობა მოხდა, ის სხვაგან იყო. ეს ნამდვილი არ არის: დ. ჩქოტუა სრულებით ალიბიზედ არ ფუძდება; ის ამბობს მხოლოთ, რომ იმ საღამოს, 9 საათამდინ, ვიყავი ქალაქშიო, მაზოლის წამალი ვიყიდეო, კაპანაძესთან ვიყავიო, ვახშამი ვქამე ევროპის სასტუმროშიო და სხვ. მაგრამ ყველა ეს იყო 9 საათამდინ, ე. ი. იმ დროამდინ, რომლის შემდეგაც დაიღრჩო ნ. ანდრეევსკისა! 9 საათზე კი დ. ჩქოტუა შინ იყო. მაგრამ ვსთქვათ შემცდარია დ. ჩქოტუა, ვსთქვათ ის სტყუის. ბანა შეცდომისათვის და ტყუილის-თქმისათვის უნდა დასაჯოთ?!

ამბობენ, ვითომც მომკვლელს ძორიძეს ეჩვენებინოს, რომ როცა ანდრეევსკის ქალს აღრჩობდნენ, დ. ჩქოტუა რევოლვერით დამადგა თავზეო და მითხრაო, წადი აქედამ, თორემ ახლავე მოგ-

კლავო. საქმის გარემოებიდამ აღმოჩნდა, რომ ის რევოლვერი იმ დროს სრულიად არ ჰქონია ნაყიდი დ. ჩქოტუას; ის უყიდნია ამ შემთხვევის შემდეგ სწორეთ იმის წინა დღეს, როდესაც დ. ჩქოტუა დაატუსაღეს!... თითქმის ყველა საბუთები ამ გვარები არიან და ამისთანა ფაქტების საფუძვლით ჰსურთ სამი კაცი დაღუპონ!

პეტრე ბაბისონიის დანაშაულობის შესახებ გამამტყუენებელმა ოფლებამ მხოლოთ ერთი საბუთი წარმოადგინა—ის, რომ გულზე გაფხაჭნულები ჰქონდა და ეს ნ. ანდრეევსკის ქალის მოკვლის დროს დაემართაო. ამას აუფძნებს უფ. პროკურორი მგელაძისა და ძორიძის ჩვენებაზედ.

აქ მე მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა ამ ზემოხსენებულ პირების ჩვენებაზედ.

ოლქის სასამართლოს პროკურორმა იმდენი კეთილ-გონიერება გამოიჩინა, რომ ხელი აიღო ამათ გამოტეხაზედ, ყურადღება არ მიაქცია ამათ ჩვენებას. რატომ? იმიტომ რომ ეს გამოტეხა, თუ კი იყო მართლა გამოტეხა, ისეთს გარემოებაში მამხდარა, რომელიც როგორც კანონის წინაალმდეგია, აგრეთვე ყოველი კაცისათვის საზიზღარი. გაიხსენეთ ეს გარემოება: პოლიციის ჩინოვნიკმა ლოლაძემ ორი საციმბირო და გასაროზგავი არესტანტი— მუსსა-ოღლი და წერეთელი შეუჩინა ძორიძეს, ბაბისონიასა და მგელაძეს და სხვა-და-სხვა საშუალებით განიზრახა ამათი გამოტეხა. დაჰპირდა ამათ, რომ, თუ გამოსტეხთ, ნამესტნიკს ვსთხოვ, რომ გაპატიოსთო. ლოლაძეს ეხმარებოდა ამ საქმეში საავთმყოფოს დოქტორი მარქაროვი, რომელიც, როცა ბაბისონია არ გატყდა, ნახევარი პორცია საჭმელს აძლევდა ამ ავთმყოფს და უმისოთაც დასუსტებულ კაცს. ეოტკით უნდოდათ ამის დათრობა და ისე გამოტეხა და სხვ.

პირველად მესმის, რომ რუსეთში სადმე ამ საუკუნის დასაწყისიდამ ამისთანა ბარბაროსული საქმე მომხდარიყვეს. ახალი სამართალი, ახალი კანონი სრულს თავისუფლებას აძლევს ბრალდებულს თავის გამართლებისას; კანონი ძალას არ ატანს, არ ცდილობს აიძვერობით, ეშმაკობით, მოტყუებით, ჯილდოს დაპირებით ან სხვა ამგვარ საშუალებით გამოსტეხოს ბრალდებული. აქ კი ყველა ამ საშუალებას ხმარობენ, აწვალებენ, ინკვიზიციის წესს ასრულებენ! კანონით, ჯერ პოლიციური გამოკვლევა უნდა მოხდეს საქმისა და მერე სასამართლოს გამოძიება. აქ კი ორივე ერთად მიდის: პოლიცია და სასამართლო ერთად მისდგომიან ბრალდებულს! ოლქის სასამართლოს პროკურორმა იცოდა ეს, და არ დაუშალა პოლიციას ამ საქმეში გარევა! არსად არ მინახავს ამისთანა წესები. არსად არ გაგონილა, რომ გამოძიების საქმეში დოქტორი გარეულიყოს. არსად ნახულა, რომ მომრიგებელი მოსამართლე მოქცეულიყოს ისე, როგორც მოიქცა ამ საქმეში წინამძღვარი, რომელიც დღე და ღამე მოწმეებს ეძებდა, ყველა გამოძიებაზე და ჩვენების ჩამორთმევაზე ესწრობოდა, ყველგან ჰყვიროდა და ამტკიცებდა, რომ მკვლელი დ. ჩქოტუა არისო; ამის სიტყვას, ჩემის ჰაზრით, მთელი საზოგადოების რწმენაზედ, თვით გაზეთებზედაც, დიდი გაელენა და ზედ-მოქმედება ჰქონდა...

მე მიკვირს, რომ უ. პროკურორი სარგებლობს ამგვარად ნახულის ფაქტებით. ბარდა დაფხაჭნულისა, ბ. ბაბისონიის წინააღმდეგ არაფერი არ არის.

ძიდევ უფრო ნაკლები საბუთებია მესამე ბრალდებულის—ნ. ჩქოტუას წინააღმდეგ. ბარბარე ანდრეევსკისამ, ნინოს დედამ, რომელმანც სამჯერ შესცვალა თავის ჩვენება, სხვათა შორის აჩვენა, რომ, როცა პირველად დაუწყეს ძებნა ჩემს ქალსო და ნ. ჩქოტუას ოთახში შეეედი იმის დასაძახებელად, ის ტანისამოსით იწვა ლოგინზე და ძილი მოიგონაო. აი ამისთვის ჰგზავნიან კაცს ათის წლით კატორღაში! ძიდეც რომ სცოდნოდა იმას, რომ იმ დროს ქალს ჰკლავდნენ, კანონი ათავისუფლებს იმას ძმაზე დაბეზღებისაგან და ამისათვის არ უნდა დაისაჯოს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა კიდევ მოტივებზე, ე. ი. იმაზე, თუ რისთვის, რა საბუბებლობისთვის უნდა მოეკლა ჩქოტუას ნ. ანდრეევსკის ქალი, თუ კი მოჰკლა. პროკურორი ამბობს, რომ მოტივები საჭირო არ არისო; თუ ეიცოდეთ, კარგიაო, მაგრამ, რადგან ვერ შეეიტყვეთ, სასამართლოს უმისოთაც შეუძლიან საქმის გადაწყვეტაო. ამაზე აი რა უნდა მოგახსენოთ: როცა ფაქტი დანაშაულობისა ცხადია, როცა დამნაშავის წინაალმდეგ აშკარა საბუთები აქვს სასამართლოს, მაშინ მართლა არ არის მოტივების ძებნა მაგდენათ საჭირო. მაგრამ როცა ასე დახლართულია საქმე, როცა დამნაშავის წინაალმდეგ ერთი რიგიანი და ყურადღებაში მისაღები საბუთი და დამტკიცება არ არის, მაშინ უმოტივოთ საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია. მოსამართლის სინიდისი შეწუხებული უნდა იქნეს, როცა არ იცის ნამდვილად: მოჰკლა ამ კაცმა ეს ადამიანი, თუ არა, როცა არ იცის—თუ რა მიზეზით მოკლავდა, და ისე გადაწყვეტს იმის დაღუპვას... მე გავათავე.

ამ სიტყვის წინაალმდეგ, რომელმანც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და რომლიდამაც ჩვენ მხოლოთ უმთავრესი ალაგების შინაარსი მოვიყვანეთ, პროკურორმა წარმოსთქვა მეორე სიტყვა, რომელშიაც ახალი მაგდენი არა უთქვამს-რა.

სპასოვიჩმაც უპასუხა იმას მოკლედ, და შემდეგ თავსმჯდომარემ მიმართა ბრალდებულთ და ჰკითხა—გაქვთ უკანასკნელი სიტყვა სათქმელი, თუ არაო.

დავით ჩქოტუას უკანასკნელი სიტყვა. უფ. მოსამართლენო! ჩემი სინიდისი სუფთაა და ეს სინიდისის სისუფთავე მანუგეშებდა მე იმ ორი წლის განმავალობაში, რომელიც მე გავატარე საპყრობილეში...

პეტრე ბაბისონიას სიტყვა. რად მაწვალებთ, არ ვიცი, ღმერთმანი! თუ მართლა მოკლა დავით ჩქოტუამ ნინუცა ანდრეევსკისა, ათი—დღის მოსული ვიყავი და მე რავა გამრევდა ამისთანა საქმეში? ავაზაკი და კაცის მკვლელი ხომ არ ვიყავი? რავა მენდობოდა!.. ჩიტი ააფრინეო, მეუბნებით. რაც არ არის, რა ავაფრინო?! დიდმა რუს ხელმწიფემ თქვენ მოგანდოთ კანონის ასრულება და უკანონოთ ნუ დამსჯით!.. მეტს არაფერს ვიტყვი...

სასამართლო წავიდა კითხვითა პუნქტების დასადგენად. ორ საათზე გამოიტანეს ეს პუნქტები. ამ ნაშუადღევის ორი საათიდამ ნაშუალამევის მესამე საათის ნახევრამდინ მოსამართლეებს ჰქონდათ ცალკე ოთახში სჯა გონჩინების დადგენის თაობაზე. დილის მესამე საათზე გამოიტანეს განჩინება, რომელიც ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 28 ნოემბერს. მინისტრების კომიტეტში სხდომის შემდეგ, ყველა წევრნი კომიტეტისა: ოლდენბურღის პრინცის, მალუევი, ტოლსტოევი. ნაბოკოვი, პოსიეტი, ბრეიგი, ლისოვსკი, დრეინტელნი, სოლსკი, ბირსკი, აბაზა და ურუსოვი ყველანი ერთად წავიდნენ გარდაყენებული მინისტრის ტიმაშევის სადგომზე და გამოუცხადეს იმას თავის პატივის-ცემა. ტიმაშევმა დიდი მადლობა გადაუხადა ამათ თანაგრძნობისათვის.

ახალი გამგებელი შინაგან საქმეთა სამინისტროსი ტაინი სოვეტნიკი მიკოვი თავიდამვე შინაგან საქმეთა სამინისტროსი მსახურებდა. ჯერ ის მსახურებდა სოლოვიევთან ერთად ვილნაში გლეხების განთავისუფლების დროს; შემდეგ შინაგანი სამინისტროს კანცელარიის გამგებელად იყო ბოლუევის დროს.

ბუშინ მოვიდა პეტერბურღში თ. ბორჩაკოვი.

ლონდონი, 30 ბოუსტრეტის სასამართლოში შეიტანეს დღეს ევრარდ ბიურა ბოლდონზე, ფრანცუზზედ, საჩივარი, რომ ‘ას შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწისათვის ლორთ ლიონსისათვის მიუწერია წერილი, რომელშიაც ემუქრებოდა, რომ ინგლისის კოროლევა ვიქტორიას თოფს ვესეროო.

პეტერბურღის ბირჟა, 30 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:		ბან.	კაპ.
პირველი გამოცემის	—	96	87
მეორე— — — — —	—	95	„
მესამესი — — — —	—	95	„
მეოთხესი — — — —	—	95	„
აღმოსავლეთის პირ.	—	92	25
აღმოსავლეთის მეორე	—	91	25
ოქრო, 1/2 იმპერიალი	—	8	48

თფილ. თავად-აზნ. ბანკის

გირაოს ფურცელი— — „— „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის	— — 236	— 75
მეორე სესხის	— — — 230	— 75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი	— — 23	— 37 პენსი
ამსტერდამი	— — 118	— 37 ცენტი
ბერლინი	— — — 199	— 50 ჰენიგი
პარიჟი	— — — 245	— „ სანტიმი
კავკასიის კერასინი	— „ —	„ —

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძმოვევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: მელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭდიდან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. ქერესელიძის ლექსების გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, ვული და მაშენიკები„—თ ფ ილ ი ს ში: გრიგოლოვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: ბ ი ო რ გ ი ბ ა რ ა თ ო ვ თან, ბ ო ლ ო ში: ზ ა ქ ა რ ი ა დ ო ნ დ ა რ ო ვ თ ა ნ, ს ხ ი ნ ვ ა ლ ი ში: თ. ვ ა ნ ო თ ა ქ ო ვ თ ა ნ, ს ა ქ ა შ ე თ ს: თ. ნ ი კ ო დ ი ა ს ა მ ე ს წ ი ნ ს მ ე ჯ ვ ი რ ი ს ხ ე ვ ს: მ ა ს წ ა ვ ლ ებ ელ მ ო ს ე ნ ა თ ა ძ ე ს თ ა ნ, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მ ე ს ხ ი ს წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა ში და დ. ბ ო კ ე რ ი ა ს თ ა ნ, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: ი ო რ დ ა ნ ე ს ი ხ ა რ ულ ი ძ ე ს თ ა ნ, ფ ო თ ი ში, მ ე ლ ი ზ ბ ა რ ბ ა ბ ა ლ ო ვ თ ა ნ.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა ბ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს ქ ა ვ კ ა ზ ი ი ს საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

„სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები
თ ქ მ ულ ი
ბ ი ო რ გ ი ი. ს ა ბ ა ნ დ ა რ - ნ ო ვ ი ს ა გ ა ნ.

ფასი 30 კაპეიკი,

მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქავე ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა. ფ ა ს ი 10 კ ა პ.

ლ ე ქ ს ე ბ ი

„სიყვარული“

შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ა ნ თ. ჯ უ ღ ე ლ ი ს ა გ ა ნ გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ყ ი დ ე ბ ა თ ფ ი ლ ი ს ში ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს, ვ ა რ თ ა ნ ო ვ ი ს, ბ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს დ ა ს ხ ვ ა წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ნ ებ ი ში დ ა „ი ვ ე რ ი ი ს“ რ ე დ ა ქ ც ი ა ში. ს ა მ ე გ რ ე ლ ო ში დ. ს უ ჯ უ ნ ა ს, ბ. თ ო ფ ო ო ს ი ძ ი ს დ უ ქ ა ნ ში დ ა ა ბ ა ში ს ს ტ ა ნ ც ი ა ზ ე პ. მ ე ლ ი ქ ო ვ ი ს დ უ ქ ა ნ ში, ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ს ჩ უ ბ ი ნ ი ძ ი ს დ ა ქ ო ს ტ ა ვ ა ს დ უ ქ ა ნ ში.

ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი. ო ც ს ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ს ვ ი ნ ც ი ყ ი დ ი ს ე რ თ ა დ, მ ა ს თ ი თ ო ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ი დ ა ე თ მ ო ბ ა რ ვ ა კ ო პ. მ ე ტ ს ვ ი ნ ც ი ყ ი დ ი ს ი მ ა ს შ ვ ი დ კ ო პ ე ი კ ა თ.

ვ ა რ თ ა ნ ო ვ ი ს ფ ი ზ ი კ ი ს ბ ა ლ ა ზ ი ა ში ი ს ყ ი დ ე ბ ა:

დ ე დ ა - ე ნ ა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ, მ ე ო რ ე შ ე ს წ ო რ ებ ულ ი გ ა მ ო ც ე მ ა. ფ ა ს ი ე ქ ვ ს ი ი შ ა უ რ ი, ყ დ ა ში გ ა დ ა კ რ უ ლ ი ც ხ რ ა შ ა უ რ ი. თ უ რ ო მ ე ლ ი მ ე შ კ ო ლ ა ი ყ ი დ ი ს ე რ თ ა თ ო ც - დ ა - ა თ ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ს ა, ან რ ო მ ე ლ ი მ ე კ ე რ ძ ო პ ი რ ი ა ს ა, ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ი დ ა ე თ მ ო ბ ა უ ყ დ ო ხ უ თ შ ა უ რ ა თ, ყ დ ი ა ნ ი ო რ ა ბ ა ზ ა თ ა.

ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. მ გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ი დ ა ე თ მ ო ბ ა თ ო თ ხ მ ე ტ შ ა უ რ ა თ, ვ ი ნ ც ე რ თ ა თ ი ყ ი დ ი ს თ ხ უ თ მ ე ტ ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ა ს ა, — ც ა ბ ე ტ შ ა უ რ ა თ, ვ ი ნ ც ე რ თ ა თ წ ა ი ღ ებ ს ო ც - დ ა - ა თ ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ს ა დ ა ს ა მ ა ბ ა ზ ა თ ა ს ი ი ე გ ზ ე მ პ ლ ი ა რ ი ს ე რ თ ა თ მ ყ ი დ ვ ე ლ ს ა. ი ს ა ც ჰ ს უ რ ს ყ დ ა ში გ ა დ ა კ რ უ ლ ი ვ ი ი ღ ო ს, უ ნ დ ა ამ ფ ა ს ს დ ა უ მ ა ტ ო ს ს ა მ ი შ ა უ რ ი.

ს ა უ მ ა წ ვ ი ლ ო კ ო ნ ა პ ი რ ვ ე ლ დ ა წ უ ე ბ ი თ ი მ ო თ ხ რ ო ბ ებ ი ს ა ბ უ ნ ებ ის მ ე ც ნ ი ე რ ებ ი დ ა ნ, გ ა მ ო ც ე მ ა პ ი რ ვ ე ლ ი, ფ ა ს ი ე ქ ვ ს ი შ ა უ რ ი.

პ ა ტ ა რ ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა, პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი, შ ე ი ც ა ვ ს ს ა მ ს ს ა უ მ ა წ ვ ი ლ ო მ ო თ ხ რ ო ბ ა ს ა; ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი.

ა ქ ვ ე ი ს ყ ი დ ებ ა ყ ვ ე ლ ა ქ ა რ თ უ ლ ი დ ა რ უ ს უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო წ ი გ ნ ებ ი. (10—8)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თ ფ ი ლ ი ს ი	9	21	5	18				
მ ც ხ ე თ ა	10	11	6	27	-	68	-	38
ბ ო რ ი	11	58	9	43	2	40	1	33
ხ ა შ უ რ ი	1	29	11	57	3	92	2	18
ს უ რ ა მ ი	1	44			4	42	2	46
ყ ვ ი ტ ი ს ა	5	49			5	81	3	23
რ ი ო ნ ი	6	5			6	75	3	75
ს ა მ ტ რ ე დ ი ა	7	51			7	73	4	29
ა ხ ა ლ - ს ე ნ ა კ ი	8	43			8	57	4	76
ფ ო თ ი	9	50			9	75	5	42

ფ ო თ ი	9	3						
ა ხ ა ლ - ს ე ნ ა კ ი	10	14			1	18	-	66
ს ა მ ტ რ ე დ ი ა	11	5			2	6	1	14
რ ი ო ნ ი	12	13			3	4	1	69
ყ ვ ი ტ ი ს ა	1	18	ღ ა მ ე.		3	98	2	21
ს უ რ ა მ ი	5	12	1	10	5	33	2	96
ხ ა შ უ რ ი	5	39	1	37	5	84	3	24
ბ ო რ ი	7	5	4	8	7	36	4	9
მ ც ხ ე თ ა	8	50	6	59	9	8	5	4
თ ფ ი ლ ი ს ი	9	31	7	56	9	75	5	42

ტ ე ლ ე ბ რ ა ფ ი

	მ ა ნ	კ ა პ.
ო ც ი ხ ი ტ ყ ვ ა თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:		
ქ ა ვ კ ა ს ი ი ს ა ქ ვ ე თ ა მ ხ რ ი ს ყ ვ ე ლ ა ქ ა ლ ა ქ ებ შ ი.	—	50
რ ო ს ტ ო ვ ს, ო დ ე ს ს ს, მ ო ს კ ო ვ ს	2	—
პ ე ტ ე რ ბ უ ლ ს, ვ ა რ შ ა ვ ა ს	2	—
ო ს მ ა ლ ე თ შ ი, შ ვ ე ი ც ა რ ი ა ში. .	3	—
ი ტ ა ლ ი ა ნ ი დ ა ს ა ბ ერ ბ ე თ ში .	3	50
ი ნ გ ლ ი ს ში	3	75

ფ ო ლ ჩ ტ ა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ: ს ა მ ზ ღ ვ ა რ გ ა ნ ე თ, ქ უ თ ა ი ს ს, რ უ ს ე თ ს — ყ ო ვ ე ლ დ ღ ე კ ვ ი რ ა ს გ ა ნ ო ბ ა. ზ უ გ დ. ო რ შ. დ ა ხ უ თ შ. ო ზ ურ. — პ ა რ ა ს კ. დ ა ო რ შ. ქ ა ხ ე თ ს — ს ა მ შ. დ ა შ ა ბ. ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ: თ ფ ი ლ ი ს ი ს ა დ ა ფ ო თ ი ს ა კ ე ნ — ყ ო ვ ე ლ დ ღ ე, კ ვ ი რ ა ს გ ა ნ ო ბ ა. ო ზ უ ო ზ ე თ ს — ო რ შ. დ ა პ ა რ ა ხ კ.

	მ ა ნ	კ ა პ.
წ ი გ ნ ი ს გ ა გ ზ ა ვ ნ ა რ უ ს ე თ შ ი დ ა ს ა მ ზ ღ ვ ა ო გ ა ნ ე თ:		
ლ ი ა წ ი გ ნ ი ს		4
დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ს (ზ ა ნ ი მ ი ს ხ ა ლ ი) .		8

მ ა ზ ა ნ დ ა

	მ ა ნ	კ ა პ
თ ფ ი ლ ი ს ი, 30 ნ ო ე მ ბ ე რ ს.		
ფ ქ ვ. თ ე თ. ბ ა ნ ჯ ი ს ა, ფ თ.	1	80
ფ ქ ვ ი ლ ი წ ი თ ე ლ ი . . .	1	60
ქ ე რ ი ფ უ თ ი	1	30
ბ ა მ ბ ა ბ ერ ვ ე ნ ი ს ა, ფ უ თ ი .	7	20
— ა მ ე რ ი კ ი ა ნ ა, ფ უ თ ი . .	8	04
ბ ა ვ ნ ტ ი ლ ი ბ ე ბ ი ა ფ უ თ ი.	10	—
მ ა ტ ყ ლ ი თ უ შ უ რ ი ფ უ თ ი.	7	50
— თ ო ნ ა ქ ა ბ ი ს ა ფ უ თ ი . .	4	80
ა ბ რ ე შ უ მ ი ნ უ ხ უ რ ი ს ტ .	2	—
ქ ო ნ ი, ფ უ თ ი	5	50
ქ ო ნ ი ს ს ა ნ თ ე ლ ი ფ უ თ ი .	7	60
ს ტ ე ა რ ი ნ ი ს ს ა ნ თ ე ლ ი, ფ თ.	12	3
ხ ო რ ც ი ბ ო ლ ი ს ა, ლ ი ტ.	—	81
— ც ხ ვ რ ი ს ა, ლ ი ტ რ ა . .	—	90
ს პ ი რ ტ ი ვ ე დ ო ლ	4	80
შ ა ქ ა რ ი, ბ ო ლ ო. ფ უ თ ი .	7	60
— ფ ხ ვ ნ ი ლ ი ფ უ თ ი . . .	6	40
ყ ა ვ ა ბ ერ ბ ვ ა ლ ი, ბ ერ ბ . .	—	70
ხ ე თ ი ქ უ ნ ჯ უ თ ი ს ა ფ უ თ ი	12	80
თ ა მ ბ ა ქ ო, ხ ა ნ უ ა ლ ო ფ თ.	6	50

თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო.

ქ ო ვ ე ნ ს მ ა ე დ ა ნ ზ ე, წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა ო ვ ი ს ს ა ხ ლ ებ ში.

ა ვ ა თ მ ყ ო ფ ებ ს მ ი ი ღ ებ ენ ყ ო ვ ე ლ ს დ ღ ე დ ი ღ ი ს 9 ს ა ა თ ი დ ა მ 1-მ დ ი ნ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი დ ა ბ ა ლ ლ ე ვ ი ჩ ი — შ ი ნ ა გ. ა ვ ა თ., ქ ი უ ზ ა რ ი ა ნ ც — ს ა ჯ ა ო ო ე ქ ი მ ი დ ა ს ა შ ვ ი ლ ო ს ო პ ე რ ა ც ი ებ ი.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი — შ ი ნ ა გ. ა. ბ. ხ უ ტ ო ვ ი — ს ა ბ ებ ი ო დ ა ბ ა ვ შ ვ ი ს, პ ე უ ნ ო ვ ი — თ ვ ა ლ ი ს.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი შ ი ნ ა გ ა ნ ი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი — შ ი ნ ა გ., ქ ი უ ზ ა რ ი ა ნ ც — ს ი ფ ი ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა ს ა შ ა რ დ ე ო ო რ გ ა ნ ებ ი ს.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი - შ ი ნ ა გ., ა. ბ ა ხ უ ტ ო ვ ი — ს ა ბ ებ ი ო ქ ა ლ ი ს ა დ ა ბ ა ვ შ ვ ებ ი ს.

შ ა ბ ა თ ს: ვ ე რ მ ი შ ე ვ ი შ ი ნ ა გ., დ ა პ ე უ ნ ო ვ ი — თ ვ ა ლ ი ს ა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 Декабря 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი. რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს. მ ე ს ხ ი.